

Ramaz Chilaia

Georgia, Tbilisi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

The Texts of the “Epoch of Changes”

The fall of the Berlin Wall in 1989, the cast down of the East European totalitarian systems, the breakdown of the Soviet Union – this is just the basis that determined the postmodernist eschatology. In the eighties and nineties of the twentieth century the historical-political discussion and critical narrative became very actual, or it can be said, even popular. Consequently, it is clear that literary processes would not be indifferent to these painful changes.

In the end of the twentieth century Georgian literary processes, notwithstanding some kind of literary crisis, still stand out for their traditional, lasting through many centuries steady experience.

Key words: Democracy, Censorship, Democratic Processes.

რამაზ ჭილაია

თბილისი, საქართველო

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ცვლილებათა ეპოქის ტექსტები

ყოველგვარი ტაქსონომია, ზოგადად, პირობითია და ყველა „იზმი“ თავდაპირველად „მუშა“ ტერმინად იბადება, გარკვეულ მახასიათებელთა მინიშნებით. თუმცა, მავან ავტორიტეტულ მკვლევართა ზეგავლენით თუ პიიტეტით, არაერთმა ცნება-ტერმინმა მკვიდრად მოიკიდა ფეხი სამეცნიერო ლიტერატურაში და დღესაც სიტყვახმარებაშია.

ერთდაერთი, რასაც ლიტერატურა ვერ ეგუება, კლასიფიკაციაა! ამა თუ იმ ლიტერატურული ფაქტის სახელდება თუ დეფინიცია მეორე პლანისმიერია. უმთავრესი თავად ლიტერატურული ტექსტია; ხოლო რა სახელს მიუსადაგებენ მას – „ტოტალიტარულს“, „ანტიტოტალურს“, „პოსტს“ თუ „პრეს“, ეს როგორც აღვნიშნეთ,

ე.წ. „მუშა“ ტერმინებია. ზოგჯერ, ერთი და იგივე ან მსგავსი ლიტერატურული პროცესი, სხვადასხვა კრიტიკულ-ესთეტიკური დაჯგუფების მიერ განსხვავებულადაა მარკირებული.

XX საუკუნის ლიტერატურულმა პროცესებმა ერთგვარი „აჩქარება“ შეიძინა, ნორმად ქცეული საუკუნეობითი დაყოფა-სისტემატიზირება შეიკუმშა. დროით ტრანსფორმაციათა საზომად, ათვლის წერტილად, აწ უკვე ათწლეულები მოიმარჯვეს. მეოცე საუკუნის ყოველი ათწლეული რაღაც ახლებურის, განსხვავებულის მანიფესტირებით გამოირჩა. თუმცა, ახლადშექმნილი ყველა სკოლა თუ მიმდინარეობა მკვეთრად გამოხატული ფორმა-შინაარსობრივი ლოგიკური თანამიმდევრობით ვერ გამოიხატა.

მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლების მოვლენები შემზადებული იყო წინმსწრები პროცესებით. საბჭოთა პარტნომენკლატურა გრძნობდა ცვლილებების აუცილებლობას და გარდაუვალობას. ამდენად, თავად წავიდა მორიგ, როგორც შემდგომ დადასტურდა, აწ უკვე ბოლო „დათბობაზე“. პროტესტული განწყობები ისედაც არსებობდა, მაგრამ პარტიულმა ბონზებმა პროცესების მათეულად მართვა მოინდომეს. შემოთავაზებულ იქნა „ადამიანური სახის მქონე სოციალიზმი“. რაც უკვე ნაგვიანები იყო, თავად ამ მიმართულების ესთეტიკას ჰქონდა შერყეული საყრდენი. მართალია, ნებადართულ, მაგრამ მტკივნეულ საკითხზე საუბარი ანგრევდა ცენზურასთან ჭიდილში შემუშავებულ ნართაულ-ალუზიურ დისკურსს. მართვადი ხელოვნების (ლიტერატურის) ახალ იდეოლოგიად „დამტკიცება“ სცადეს ჯერ გორბაჩოვმა, შემდგომ ელცინმა...

მხატვრულ ლიტერატურული სფეროს ჯანსაღი განვითარება შეუძლებელია ჯანსაღი კრიტიკის გარეშე. ლიტერატურათმცოდნეობითი აზრით, ისევე როგორც ზოგად-ფილოლოგიური დისკურსი, ასევე „ფხიზელი“ მეურვეობის ობიექტი იყო. კვლევათა ერთიან სამეცნიერო საკომუნიკაციო ველში არსებობა აუცილებელია; უამისოდ კვაზიმეცნიერული, იზოლირებული მოქმედებები იკვეთება.

საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში (გამონაკლისი ალბათ, რუსული ფორმალისტური სკოლა იყო) ყველა მექანიზმი ვასილი როზანოვის მიერ XX საუკუნისთვის „ნაანდერძევი“ მყარი შესიტყვების – „რკინის ფარდის“ ფუნქციონირებისთვის მუშაობ-

და. ლაგამამოდებული პარტმეცნიერები ბეჯითად ტირაჟირებდნენ საბჭოურ ფუნდამენტზე დაფუძნებულ კვლევებს. ისიც უნდა ითქვას, რომ რაღაც მანქანებით, ამ სივრცეში მოქცეული ქართველი და, არა მარტო, მეცნიერ-მკვლევრები მაინც ახერხებდნენ ე.წ. მეინსტრიმული ინფორმაციის მოპოვებას და საკუთარ ინტუიტურ შეგრძენებებთან შეუღლებით, ფასეული ნაშრომების შექმნას.

ნებისმიერი მეცნიერება სინამდვილის ამა თუ იმ ასპექტს იკვლევს; სხვა მიდგომა აქვთ ღვთისმეტყველებას და ფილოსოფიას, რომლებიც სინამდვილის მთლიანობით აღქმას ესწრაფვიან. იბადება ერთგვარი „საცდური“, რომ ფილოლოგია ვერაა საამისოდ მოწოდებული. პასუხი თავად ამ დისციპლინის წიაღშია – ფილოლოგიაც ღრმად და ინტერესებული სინამდვილის შეცნობა-კვლევით; ოღონდ იმის დათქმით, რომ ეს სინამდვილე მხატვრულია. მეორეც – არანაკლებ მნიშვნელოვანი პუნქტი, ფილოლოგიის, ლიტერატურათმცოდნეობის საკვლევი არე ტექსტი, უფრო ზუსტად, ტექსტად ქცეული სინამდვილეა. ტექსტი მეტყველებით იბადება, მეტყველება კი დისკურსია. სადღეისოდ, ეს უკვე დამკვიდრებული პრაქტიკაა და არათუ ლინგვისტიკა, არამედ მთელი ჰუმანიტარული საზოგადოება სივრცე ამ ტერმინს მოიმარჯვებს.

„ცვლილებათა ეპოქის“ ნიშანდობლივი მახასიათებელია ის, რომ ისახება ლიტერატურის ახალი თვისობრიობა, იბადება ახლებური ნარატიული სტრატეგიები, ახალი ჰიბრიდული ესთეტიკური ფორმები. ეს კი – რომანის ასევე ახლებურ მოდელებს ბადებს, რომელშიც მორღვეულია ტრადიციული ჟანრობრივი ჩარჩოები. ახალი ნარატიული სტრატეგიები უგულებელყოფენ ან უკვე მოძველებულ დაყოფას ელიტურ და მასკულტურად. ჩნდება თუ იბადება ახალი ყაიდის მკითხველიც.

დრო მედინია, ციკლურობა ზოგადად, დამახასიათებელია კულტურის და ცივილიზაციის ასპექტებისთვის; არც რაა მდგრადი და ჩაკირული. ისტორიულ-პოლიტიკური ტრანსფორმაციები არახალი ფენომენია. ყოველგვარ ახლებურს წინ უძღვის „წინარე გამოცდილებათა პრაქტიკები“. 70-80-იანი წლების ვითარება გაპირობებული იყო სწორედ ზემონახსენები ფაქტორებით. გამძაფრდა საკუთარი სახის შენარჩუნების და, ამდენად, გადარჩენის პრობლემა. კვდომას მიახლოვებული იმპერიის ზეწოლას შინაგანი სიმართლით მოტივირებული, გააზრებული (ზოგჯერ

ინტუიტიური) პასუხი სჭირდებოდა. აუცილებლად უნდა შეცვლილიყო ზნეობრივი ორიენტირები. ორჭოფობის გარეშე ასარჩევი თუ დასამებნი იყო (რაოდენ პათეტიკურადაც ჟღერდეს) ეროვნულ ფასეულობათა საუკუნეებგამოტარებული, ჭეშმარიტი და არა კონიუნქტურული, „ერთჯერადი მოხმარების“ საბაზისო საყრდენები. დროთა გადმოსახედიდან (ისე – არც დიდი დროა გასული), ასეც მოხდა – ავად თუ კარგად, მოხერხდა შემოქმედებითი ცნობიერების მობილიზება და თვითმყოფადობის გადარჩენა-შენარჩუნებისათვის ენერჯის მაინც სწორი მიმართულებით მიმართვა.

ცვლილებები ყოველთვის არაა უმტკივნეულო; ყოველი „ახალი“ თაობა წინამორბედთაგან რაღაც ნიშან-თვისებებს მაინც იმემკვიდრებს ხოლმე. და ეს ნიშან-თვისებები „ახლების“ სახელმძღვანელო თუ აღმნიშვნელიც კი შეიძლება გახდეს. რაც, არამარტო ქართული ან ე.წ. „სოცკოვური“ მოვლენა არ გახლავთ. ძველისა და ახლის დაპირისპირება, „მამათა და შვილთა“ პირველი დაპირისპირებით იწყება. ოღონდ იგი დავალებით, გარედან თავსმოხვეული არ უნდა იყოს.

ძველის უარყოფა, ახლის მოწადინება, ბუნებითი მოვლენაა, თუმც ეს სრულებითაც არ მოასწავებს ძველის სიცუდეს და ახლებურის ეჭვმეუვალ სიკეთეს. ოდინდელი, პირველქმნილი (მეტწილად ზეპირად დაბადებული) ტექსტები დღესაც იზიდავს თანამედროვეთ, როგორც ახალდასტამბული.

XX საუკუნის 80-90-იანი წლები დღევანდელი გადასახედიდან, ორგემაცე საფიქრალს აღძრავს. ერთი მხრით – ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი, ყველა თანმხლები დადებითი ფაქტორით (საბჭოური ყაიდის მმართველობის კრახი), მეორე მხრით კი, უმწიფარ – ინფანტილურ – რომანტიკული პოლიტიკის კრიზისულობა; რამაც ზეგავლენა იქონია ქართული მწერლობის, ზოგადად კულტურის განვითარებაზე.

ქართული მწერლობის ერთი კრიზისული ეტაპი, რომელიც 70-იანი წლებიდან ნათელი გახდა (ანალიტიკური დისკურსის მოჭარბებით), 90-იანებში კიდევ უფრო გამწვავდა, დაუფარავად გამოაშკარავდა პოსტმოდერნისტული ტენდენციები. საერთო პოლიტიკურმა ქაოტურობამ ზეგავლენა იქონია კულტურაზე, ლიტერატურაზე კერძოდ; გაჩნდა სკეპსისი, პოსტმოდერნულობის-

თვის დამახასიათებელი ეპისტემისეული დაეჭვება – გაურკვეველობა, წინარე პროცესებისადმი ნიჰილისტური მიმართება, ფუჭად გახარჯული დროის შეგრძნება. თუმცა, ასე ხელაღებით ყოველივეს უარყოფა, ყოველივეს დამცრობა, რბილად რომ ვთქვათ, ზედაპირულობასთან ერთად, უსამართლოც იყო.

რიტორიკაში რაც წერია, ილიას წყალობით, გვახსოვს ალბათ... ამდენად, 80-90-იანი წლების აქტივობების განხილვისას, მოტივირებულად მიგვაჩნია წინარე პროცესების აღნიშვნაც. საბჭოური ტოტალიტარული წნეხის ქვეშ მოქცეული ქართველი შემოქმედნი, მათ შორის მწერლებიც, ერთფეროვან, უსახო მორჩილ მასას ნამდვილად არ წარმოადგენდნენ. არსებობდნენ გარკვეული ჯგუფები, რომლებიც რისკის ფასად, მაინც გამოხატავდნენ ინდივიდუალურ შეხედულებებს. კულტურულ სივრცეში მოვიდა ახალგაზრდობა, რომელიც ვერ ეგუებოდა რუსიფიკაციის მცდელობას და პიროვნული თავისუფლების დასაცავად იღვწოდა. რისი დასტური 1978 წლის აპრილს ენის დასაცავად გამართული საპროტესტო გამოსვლები გახლდა. 60-იან წლებში იღებს სათავეს ქართული მწერლობის გარდამავალი პერიოდის მინიშნებები. „ყოველი ლიტერატურული ეპოქა წინასწარი, ხშირად ხანგრძლივი კულტურული მომზადების, ერთგვარი პრეპარაციის შედეგია, შესაბამისად, თანამედროვე ქართული მწერლობის ისტორიის ათვლა გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურულიდან 60-იანი წლების პირველი ნახევრიდან უნდა დავიწყოთ, იმ ეპოქიდან, როდესაც ქართული ლიტერატურა მასშტაბურად მოიცვა საეტაპო მნიშვნელობის თემატურმა და სტილისტურმა ინოვაციებმა“ (რატიანი 2015: 168)

თითქოს ანდერგრაუნდული მოძრაობის მცდელობაც იყო ჩვენში. იქმნებოდა სხვადასხვა ხელწერით აღბეჭდილი, სხვადასხვა მიმართულების მქონე დაჯგუფებებიც („იახსარი“, „რეაქტიული კლუბი“, „ქრონოფაგები“ და მისთ.). ჩვენეულად, მაინც გამოვყოფდით იმ დროისთვის ალტერნატიულ ახალგაზრდულ დაჯგუფებას და მის ლიდერს, კარლო კაჭარავას – სახელწოდებით „მეათე სართული“. 1986 წელს ჩამოყალიბებული ეს ერთობა მხატვართა და პოეტთა არაოფიციალური გაერთიანება იყო. შემოქმედებითი ესთეტიკით მართალია, ნახატი იყო წამყვანი, მაგრამ სამხატვრო აკადემიის მეათე სართულზე ბინადადებული ჯგუფის

„პროდუქცია“ სრულყოფილი, ლიტერატურული ტექსტების გარეშე, მთლიანობით ხატს მაინც ვერ შექმნიდა. გარკვეული მოსაზრებით, „მეთე სართული“ ტრანსავანგარდულ ფენომენს წარმოადგენდა, მოსკოვურ კონცეპტუალიზმთან ერთგვარი მსგავსების მინიშნებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ კ. კაჭარავას წმინდა წყლის კონცეპტუალისტი არ გახლდათ, თუნდაც იმიტომ, რომ უმთავრესი, მაინც ნახატი იყო. კონცეპტუალიზმის „პოლიფონიურობა“ კი (მუსიკა, განათება, კოლაჟი, დეკორაცია და ა.შ.) ტექსტის აღქმა-წაკითხვას წამოწვევს წინ.

ეროვნული თვითშეგნება (национальное самосознание) 1920-იან წლებში ბოლშევიკების მიერ დამკვიდრებული ტერმინია. მისით იმართებოდა სსრკ-ის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა და „ეროვნული“ პოლიტიკა. სტალინურმა განსაზღვრება-დევიზმა „ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური“ დიდი და მზაკვრული ხიფათი შექმნა. ეროვნულობა გაუტოლეს ეთნიკურობას, ერი – ეთნოსს; ეს კი ეროვნულის გაეთნოგრაფიულობას, მის პროფანაციას ნიშნავდა!

ადამიანი სივრცეში მყოფი არსებაა და, იმავდროულად ისტორიულ დროში არსებობს. ამასთანავე, იგი ისტორიული დროის მიღმა, საკუთარ ნაოცნებარშიც მყოფობს. ყოველგვარი ადამიანური ერთობა, ყოველი ცივილიზაცია ოდენ საკუთარ, სხვათაგან განსხვავებულ იდეალს აცნობიერებს, რომელიც მის საფუძემდებლო იდეას წარმოადგენს. „უზენაესი იდეის გარეშე ვერც ადამიანი არსებობს და ვერც ერი (ნაცია)“; 1876 წელს, ამ აზრს თ. დოსტოევსკი საკუთარ დღიურში ჩაინიშნავს.

დროით დადგენილია, რომ როგორც კი შეინიშნება ამა თუ იმ ცივილიზაციის სულიერი და კულტურული მსაზღვრელების დამცრობა, დევალვირება – იწყება თვით ამ ცივილიზაციის დაშლა, მისი დაისი.

ყოველი შემდგარი, თვითმყოფადი დიდი ერი (რიცხოვნობა ერისა, ყოველთვის არ არის მისი „სიდიდის“ მანიშნებელი) ბადებს საკუთარ ეროვნულ იდეას, რომლის ძირითადი არსი სხვათაგან გამორჩეული, თვითმყოფადი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდენტობის დადგენა-განსაზღვრაა. იდენტობას კი ეროვნულ-ისტორიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, სოციოკულტურული,

კულტურულ-პოლიტიკური და მსგავსი სფეროების ეროვნულ პარადიგმასთან შეთანადებული მარკერები აყალიბებენ.

ეროვნული და გეოპოლიტიკური იდენტობა მრავალკომპონენტური მთლიანობაა, მოიცავს: მსოფლადქმას, ეროვნულ თვითშეგრძნებას და აზროვნების წესს, ხასიათს, ისტორიულ მეხსიერებას, ეროვნულ ტრადიციებს, მითოსურ ხედვას, სიმბოლოებს, ქცევა-მოქმედებას სტერეოტიპურობას და ა.შ. ჟან-პოლ სარტრის თქმით: “Je suis mon passé” – „მე ჩემი წარსული ვარ“ (სარტრი 1943: 159).

მართალია, მეოცე საუკუნის ორი ისეთი მოვლენა, როგორებიც მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმია დროითი მსაზღვრელით უფრო ადრეული ფაქტებია, მაგრამ კულტუროლოგიური გააზრებით მათი პარადიგმულობა 70-90-იანი წლების ლიტერატურულ პროცესებშიც იჩენს თავს.

ლიტერატურული მოდერნიზმი მეოცე საუკუნის 20-იანი წლებიდან ერთდროულად მოედო დასავლეთ ევროპას და ამერიკას. არსით იგი ინტერნაციონალურია, მრავალი სკოლის მომცველი; იქნება ეს იმპროვიზი თუ დადაიზმი, ექსპრესიონიზმი თუ კონსტრუქტივიზმი, სიურრეალიზმი და სხვა მსგავსი „იზმი“. მოდერნიზმის პირველმა თაობამ რეალისტური ნარატივის და ესთეტიკის ერთგვარ მოყირჭებას გაუსვა ხაზი. ნორმად დასახა სამყაროს პიროვნული, ინდივიდუალური მხატვრული ხედვა, სხვადასხვა ხელწერის მქონე მწერლების მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვითმყოფადობა. ამასთანავე, მოდერნიზმმა შეძლეს ადამიანის სულისმიერი მდგომარეობის იმგვარი აღწერა-გადმოცემა, რომელიც ლიტერატურისთვის შეუძნეველი რჩებოდა, შეძლეს დამაჯერებლად, სიყალბის გარეშე. იმდენად, რომ ბურჟუაზიულმა კრიტიკამ საკუთარ შეურაცხყოფადაც მიიღო. ამას ზედ დაერთო ინტიმური სფეროს შეუფარავი გადმოცემაც, რამაც ჯამში გაღიზიანება-მიუღებლობა წარმოშვა. დღეს კი – საუნივერსიტეტო პროგრამებში შესული მოდერნიზტული შედეგების უმეტესობა სრულიადაც არ ჰქმნის პირველწლებისეულ ამბოხის შთაბეჭდილებას და არც რაიმე უხერხულობას.

მიუხედავად არცთუ მცირე დროითი მონაკვეთის განლევისა, თავად ტერმინი „პოსტმოდერნიზმი“ მაინც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ერთნი პოსტმოდერნიზტული ეპოქის კულტურაში

მიმდინარე პროცესებს მოდერნიზმის გაგრძელება-განვითარებად მიიჩნევენ, სხვანი კი – კლასიკურ მოდერნიზმთან კავშირის გაწყვეტას, ან გამიჯვნას. საბოლოოდ კი, თავად ტერმინისმიერი გააზრება მიგვანიშნებს აღნიშნული კონცეპტის წინარე კულტურულ ეპოქასთან კავშირს. პოსტმოდერნიზმის თეორიული საფუძვლების კვლევისას, მიუთითებენ, რომ მან კავშირი გაწყვიტა მოდერნიზმისთვის აგრერიგად დამახასიათებელ ელიტურობას და ფორმისმიერ მიუბეზთან. და, თუკი მოდერნიზმი ხელოვნების დეჰუმანიზაციისკენ იხრებოდა, პოსტმოდერნიზმი სამყაროსეული, ისტორიისმიერი, გენებავთ კაცობრიული დასასრულის ნიშნებს ატარებს. მოდერნისტული ლიტერატურა ჯერ კიდევ განასახოვნებდა პიროვნების წუთისოფელისეულ ტრაგედიას და მიუსაფრობას, განსხვავებით პოსტმოდერნისტული მიმართულების მწერლებისგან, რომლებიც აწ უკვე ცხოვრებისეული ჭიდილით გადადლილ, იმედდაკარგულ, შინაგანად დაცლილ ადამიანს აღწერენ. პოსტმოდერნისტული ხედვა ლიტერატურას, საფუძვლად თამაშის ფორმას, რომანტიკულობისგან მკვეთრად დაცილებულ ირონიას უდებს. პოსტმოდერნისტთა განცხადებით, დადგადრო ჭემმარტისა და მშვენიერის ტრადიციული კატეგორიების უარყოფისა; რასაც ერთჯერადი მოხმარების ნაყალბევი, რიოში კონცეპტები განაპირობებს.

პოსტმოდერნისტულ თხზულებებში წინ წამოწეულია რეფლექსიის ელემენტი, საკუთრივ ტექსტისმიერ ქსოვილში ნაგულისხმევი თვითკრიტიკა. მწერალი არაფერს „უმალავს“ მკითხველს, გაცხადებულად ცდილობს მის დიალოგში მოპატიჟებას; მწერლის და მკითხველის სიტყვამიგების პროცესი ერთგვარ თამაშში გადადის, ცხადია, ავტორმა უნდა მართოს შეთავაზებული სიტუაცია.

მეოცე საუკუნის მიწურულის გამორჩეული ავტორები ამა თუ იმ ხარისხით დაკავშირებული იყენენ პოსტმოდერნიზმთან. იგულისხმებიან როგორც ლიტერატურული ტრადიციების მქონე წარმომადგენლები (ნატალი საროტი, ანრი რობ-გრიიე, გიუნტერ გრასი, პატრიკ ზოუსკინდი, ჯულიან ბარნსი, იტალო კალვინო, უმბერტო ეკო), ასევე – იმ დროისთვის ეგზომ პოპულარული ლათინურ-ამერიკული რომანის ავტორებიც (გაბრიელ გარსია მარკესი, ხულიო კორტასარი).

1985 წლიდან მოტანებული, ე.წ. „გლასტნოსტის“ შემდგომ, თავად „ბოროტების იმპერიის“ ცენტრში, რუსეთის ფედერაციაში დაიწყო უპრეცედენტო ცვლილებები. საბჭოთა პერიოდის რუსულენოვანი ლიტერატურის ავტორთა ტექსტებს ყადაღა აეხსნათ. ემიგრანტული მწერლობის წარმომადგენელთა (ი. ბუნინი, ი.შმელიოვი, გ. ნაბოკოვი და სხვ.) დარად, დაისტამბა ა. ახმატოვას, ბ. პასტერნაკის, ა. პლატონოვის, მ. ბულგაკოვის და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სოციალისტური რეალიზმის მეზიარახტრის მ. გორკის მანამდე აკრძალული ნაწერები. ამავე პერიოდში გაჩნდა და აქტიური სიტყვახმარებაში შევიდა ტერმინი „დაბრუნებული ლიტერატურა“. კიდევ ერთი უცნაურობაც – კარგა ხნის წინ შექმნილი ტექსტები ერთდროულად, ლიტერატურის ისტორიის და თანადროულობის ფაქტებად წარმოჩნდა. მაგალითისთვის ა.პლატონოვის „Котлован“-ი (რომლის სათაურის თარგმნა ერთობ სართულოა, რადგანაც მასში ღრმა პოლისემიური გააზრება დევს) და გაცილებით იოლად გადმოსადები „ჩევენგური“ იკმარებდა. ზოგადადაც, მასობრივმა მკითხველმა ეს ორი საეტაპო ტექსტი ახლადშექმნილად მიიღო. ოდენ გამოცდილი, პოლიტთამამებს შეჩვეული, არცთუ მრავალრიცხოვანი ფენა იცნობდა ორივე ნაწარმოებს; უინტერვალოდ, უხარისხო, საბეჭდი მანქანის პალიმფესტივით გამოყენებული ფურცლების საჩუმათოთ გავრცელებით.

სამართლიანობის გამო უნდა ითქვას, რომ „ცნობილი“ ასტაფიევის, რასპუტინის, ათმათოვის, ბელოვის 80-იანი წლების მეორე ნახევარში გამოქვეყნებული ნაწერები არამხოლოდ ტოტალიტარულ, სტალინურ და ბრეჟნევისეულ „ღვაწლს“ ააშკარავებდნენ, არამედ ადასტურებდნენ რუსეთშივე გამეფებულ სულიერ კრიზისს. წინასწარმეტყველებდნენ მის კიდევ უფრო გამძაფრებას, რაც, ფაქტობრივად, დადასტურდა კიდევაც.

ზოგს შეიძლება პარადოქსულადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ ისტორია და რეალური ვითარება ადასტურებს, რომ ტოტალიტარიზმის ნიშნები, სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციებით, დემოკრატიულ საზოგადოებაშიც დასტურდება. კიდევ უფრო დიდი პარადოქსი კი ის გახლავთ, რომ ისინი, ვინც ტოტალიტარიზმს გუნდრუკს უკმევენ და ემსახურებიან, თავად არ სწამთ ამ მანკიერი სისტემის. ისიც ხდება, რომ გამორჩეული მოაზროვნეები სისტემის ლიდერს აღიარებენ და თანაუგრძნობენ. ლიტერატურათმცოდნე-

ობით დისკურსში კარგად ჩახედულნი, ადვილად გამოიცნობენ, ამ ნიშნით, ნორდიული სააზროვნო სივრცის სულ მცირე ორ ცნობილ წარმომადგენელს. საქვეყნოდ ცნობილთაგან უშუალოდ თუ გაშუალებულად, ნაციონალ-სოციალიზმისადმი სიმპატიებში შემჩნეულებად თვლიდნენ ინგლისის მეფეს, ედუარდ მერვეს, რომელსაც ტახტის დათმობაც კი მოუწია, ჰენრი ფორდს, ჩარლზ ლინდბერგს, ინგმარ ბერგმანს...

„პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორიაში დაბრუნების შანსი მიეცა“ – ეს პოზიცია ბევრმა გაიზიარა; მაგრამ ჩვენი აზრით, საბჭოეთის „მშური ოჯახის“ წევრთაგან ალბათ, საქართველო იყო ის ქვეყანა, რომელსაც პირველი რესპუბლიკიდან მოტანებული (და, იქნებ უფრო ადრეც) ეს „შანსი“ ქვეცნობიერში ყოველთვის ჰქონდა გამყარებული.

სამართლიანია მოსაზრება, რომ პოსტმოდერნისტული დისკურსის საფუძემდებლო პრინციპი ორმაგი კოდირებაა. განსხვავებული, ურთიერთშეუსაბამო „სამეტყველო“ კოდის (როგორც როლან ბარტი იტყვის: სიყვარული, ტანჯვა, კვდომა – ყოველთვის მეტყველებაა) შეუღლება, შერწყმა, შეკავშირება. ამდენად, ქართველობა ყოველთვის ცდილობდა მისეულად ემეტყველა, პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. ცდილობდა კლასიკური მემკვიდრეობის და ავანგარდის ერთ, ახლებურ ენაზე ახმიანებას. არაიშვიათად, გამოსდიოდა კიდევაც. თუ უშუალოდ ლიტერატურაში არა – ხელოვნების სხვა დარგებში. ნებისმიერი ეკლექტიზმი, განსხვავებულ საწყისთა აღრევასა თუ „დამეგობრებაზე“ დამყარებული ხელოვნება სწორედაც მრავალწახნაგა (ორი, სამი და ა.შ.) „კოდირების“ გამოხატულებაა.

ადამიანი ორგვარ სინამდვილეს შორისაა მოქცეული – სინამდვილე რეალური და ილუზიისმიერი. პირველს ბუნება, არსთაგანმრიგე ჰქმნის, მეორეს კი – ლიტერატურა, ხელოვნება ზოგადად. რეალური შობს ილუზიურს, რომელიც, თავის მხრით, იმედის და ოცნების მშობელია. ერთი მეორეს ავსებს, მაგრამ სახიფათოა ერთის – მეორით ჩანაცვლება. ეს ერთი მთლიანობის (სისავსის) ორი კომპონენტია. იქნებ აქაც ორმაგი კოდირების კონტურები ილანდება... რეალურის და მხატვრული გამოწვანის (ილუზიურის) ე.წ. სიმულაციური აღრევის ხელწერას არაერთი ხელოვანი მოიმარჯვებს – არამარტო მწერლები, კინოხელოვანიც

ხშირად მიმართავენ ამ პრინციპს. აქვე უნდა ითქვას ჟაკ დერი-დასეულ კონცეპტზე – დეკონსტრუქციაზე; დაშლა, დანაწევრება თუ დანგრევა, ხელოვნებისმიერ სფეროში სხვა რამ არის, იგი ახლის შექმნას, შენებას აცნობიერებს. ახალი სტრუქტურის დამბადია. და, ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტიც პოსტმოდერნისტული აზროვნებისა. ესაა ის, რასაც ბახტინმა კარნავალიზაცია უწოდა. სწორად მიუთითებენ, რომ პაროდირება განმსაზღვრელი პრინციპია კულტურის კარნავალიზებისა, რაც პოსტმოდერნიზმის თითქმის საფუძემდებლო ნიშანია.

ორმაგი კოდირება, დეკონსტრუქცია, სიმულაცია, კარნავალიზაცია – ესაა ის „ინგრედიენტები“, რომელთა კომპონირებით, სხვადასხვაგვარი შეხამებით იქმნება ახალი რეალობა, ახალი მხატვრული სამყარო.

თუ დიაქრონიკაში განვიხილავთ ქართულ სახელოვნებო პროცესს, სადავო არ უნდა იყოს, რომ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში (1920-იანი 30-იანი წლები) სრულყოფილად წარმოჩნდა მოდერნისტული სკოლა. ქართველთ, აწ უკვე საუკუნის მეორე ნახევარში (60-70-იანებიდან მოტანებული) არც პოსტმოდერნიზმის „მოშინაურება“ გაჭირვებით.

80-90-იანი წლების ქართულმა ლიტერატურამ ყურადსაღები ნიმუშები შექმნა და დაგროვებული სათქმელი ახლებურად მიიტანა მკითხველამდე. ზოგი ტრადიციული და ზოგიც ექსპერიმენტული მხატვრულ-ესთეტიკური განსახოვნებით. მრავალთაგან, სანიმუშოდ ორ ტექსტს გამოვყოფთ; ქრონოლოგიურად, ესაა ჯ.ქარჩხაძის „მდგმური“ და ო. ჭილაძის „აველუმი“.

რეალობის ნამდვილობის პრობლემაზე კაცობრიობა არაერთი საუკუნეა ფიქრობს. ეს საკითხი, თანამეოროვე ფილოსოფიური თუ ლიტერატურული აზროვნებისთვისაც საჭირობოროტია. ზოგადად, მეოცე საუკუნის ლიტერატურული ტექსტებიც უხვადაა დატვირთული რეალობის გააზრების პრობლემატიკით.

ჯ. ქარჩხაძის პირველ რომანშიც, რომელსაც „მდგმური“ ჰქვია, ერთმანეთს ენაცვლება რეალური და წარმოსახვითი, ნართაული-გავური ნათხრობი. შეიძლება ითქვას, რომ რეალობას და გამოწვინაგონის (ფანტაზიის) ერთურთისგან გარჩევა-გამიჯვნას ეძღვნება ეს ტექსტი. სიუჟეტისმიერად, სწრაფვა იმ უნივერსალური გზის დაძებნისა, რომელსაც ილუზიების კოლექციონერი ახმოვანებს:

„ერთადერთი რეალური ქვეყანა ეს ქვეყანაა. ერთადერთი სიცოცხლის დაბადებისა და სიკვდილის შემაერთებელი ხაზია. თქვენ ბევრი იხეტიალეთ ამქვეყნად... მაგრამ იმაზე უკეთესი ვერაფერი შეიძინეთ, რასაც მე გთავაზობთ“ (ქარჩხაძე 2008: 292).

მიუთითებენ, რომ ესაა ე.წ. „მაგიური რეალიზმის“ ქართული ნიმუში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ რა „ქუდს დავაზურავთ“ ან რა „იზმით“ მოვნათლავთ ამა თუ იმ ტექსტს, გადამწყვეტი მნიშვნელობა სრულიადაც არა აქვს. უმთავრესი ისაა, რომ სათქმელი გქონდეს, ეს სათქმელი გეფიქრებოდეს – დანარჩენს მკითხველი გადაწყვეტს...

ნობელიატი მწერალ-ესეისტი პერ ლაგერკვისტი იტყვის „განთავისუფლებულ ადამიანში“ – საზღვარი, რომელიც საბოლოო და საბედისწერო გვგონია, არ არის ორი სამყაროს გამმიჯნავი, იგი ჩვენი შეგრძნებების საზღვარია; მოცემული რეალობის იქით, ჩვენ ვერც ვერაფერს შევიმეცნებთ და ვერც ვხედავთ. ჭეშმარიტი მცოდნენი და დამნახავნი რომ ვიყოთ, შევამჩნევდით – არავითარი საზღვარი არ არსებობს საერთოდ, და ორი სამყარო – ერთიაო. ჰანს გეორგ გადამერი კი უფრო „მარტივად“ დაწერს: „მე ერთ უბრალო აზრს ვეყრდნობოდი: ჩვენ მხოლოდ იმის გაგება ძალგვიძს, რაც ჩვენს კითხვაზე გაცემულ პასუხად გვეჩვენება“ (გადამერი 1960: 486).

„აველუმში“ თხრობა ავტორისთვის ზედმიწევნით ნაცნობ გარემოში მიმდინარეობს. ტექსტისმიერი სინამდვილე, სხვა რომანებისგან განსხვავებით, მისი თანადროულია. გადმოცემულია საბჭოურ რეალობაში მცხოვრები შემოქმედის თავგადასავალი.

რეჟიმის დასრულების მერეც, ო. ჭილაძე ალფორიებით აზროვნებს და მეტყველებს; რაც ერთგვარად დამაბნეველია. რა აპირობებს ამას? ახლა ხომ „გახსნილდა“ შესაძლებელი საუბარი. ი. ჭავჭავაძისეული „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ ფესვების ძიებაზე ანუ დღეს მიღებული შესიტყვებით – იდენტობის კრიზისზე ამახვილებს ავტორი ყურადღებას.

აველუმი, თხზულების ავტორის მსგავსად, მწერალია, დიდი ალბათობით, ნონკონფორმისტი, მან ქედი არ დაუდრიკა საბჭოურ იდეოლოგიას, არ გაიღო „დაწესებული“ ხარკი. პირიქით, ამხილა კიდევაც ძალადობაზე დამყარებული მმართველობის ფსევდო დემოკრატიული არსი. მაგრამ მოდის ახალი თაობა,

ისევე როგორც ყოველი ბუნებითად ძველის ჩამნაცვლებელი გენერაცია – მაქსიმალისტური. აველუმი იმედგაცრუებულიც კი არის იმით, რომ „ახლები“ დიდად არ აფასებენ მის ღვაწს. ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებს საკუთარი ქალიშვილის პოზიციაც; 9 აპრილს მოწამლული, საავადმყოფოში გვარს მალავს. აველუმს ამბივალენტური ეჭვი ღრღნის, ნამდვილობის არგამხელა ოჯახისთვის საფრთხის არიდებაა თუ საკუთარ პიროვნებასა და მამაზე უარის თქმა. ეს გაურკვეველობა და დაეჭვება შინაგან (სულიერ) ვაკუუმს წარმოქმნის, რომლის დასაძლევად აველუმი თმობს პოზიციას (1956 წლის გამოსვლების გამოცდილების მქონეს აღარ სწამს დემონსტრაცია-მიტინგების ქმედითობის და თავს არიდებს მსგავს აქციებს) და შვილის საამებლად მომიტინგეთა მასაში ყოფნას ირჩევს, რაც ნაგვიანებია და სადაც ილუპება კიდევაც.

კულტურაში გამყარებული ექსისტენციური ტრადიციის არდაკარგვას ო. ჭილაძე ხსოვნის არდაკარგვით ახერხებს. ერს, რომელსაც ღრმა ისტორიული მეხსიერება აქვს, ჟამთა ვაებას მაინც უძლებს. ოდენ წარსულზე ფიქრი კვდომის ტოლფასია, მაგრამ „აწმყო შობილი წარსულისაგან“ იმედის მომცემი უნდა იყოს. მხოლოდ დეკლარირება და ვერბალიზება საქმეს ვერ შველის, „მოდ რაობა და მარტო მოძრაობა“, აი, ეს შეგონებაა, გადარჩენის წინაპირობა. ავტორმა არა რებუსული ფორმა, არამედ გააზრება-ამოცნობის პოეტიკა შესთავაზა მკითხველს; დასმულ კითხვებზე სწორი პასუხების დაძებნა-გაცემა. ეს კი დაფიქრებას, აწონ-დაწონას, პრობლემის დასაძლევად მართებული სამომავლო გზის არჩევას გულისხმობს. წინაპართა ნაღვაწი, ხსოვნა ალაგებს და აწესრიგებს ერის წინსვლის საწყისს.

ხშირად წერენ – ო. ჭილაძემ შექმნა „განზოგადებული სახე იმ პერიოდის ინტელიგენტისა“. ცარისტული რუთესიდან მომდინარე და ფესვებგადგმული დეფინიცია – „ინტელიგენტი“ და „ინტელიგენტური“ ჩვენთვის ერთობ საკამათოა. მით უფრო საბჭოური მოდიფიკაციის – „შემოქმედებითი ინტელიგენცია“ ან „ტექნიკური ინტელიგენცია“. შეიძლება ბევრთათვის საკამათო იყოს, მაგრამ მიუხედავად ხაზგასმული პატივისცემისა, ო. ჭილაძეს „ინტელიგენტად“ ვერ მივიჩნევთ. მწერალს, რომელმაც 70-იანებიდან მოტანებული თავისი რომანებით გაამყლავნა დაგრო-

ვებული სათქმელი; კაცი, რომელიც წერის შეწყვეტამდე მაინც არტისტული სულის პოეტად დარჩა.

მეოცე საუკუნის ბოლო ოცწლეულის ქართული სალიტერატურო პროცესები, გარკვეული კრიზისული ფაზის მიუხედავად, მაინც ტრადიციული, მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების უწყვეტობით გამოირჩა. სალიტერატურო პროცესთა პროგნოზირება საძნელო საქმეა – დრო, ვითარება, სოციალურ-პოლიტიკური თუ კულტურისმიერი პარადიგმები ძირეულად ვერ ცვლიან ვითარებას; რამდენადაც, ლიტერატურა ოდენ ზემონახსენებ მახასიათებლებს არ ემორჩილება. ჭეშმარიტი, ეჭვშეუვალი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულებების მქონე ტექსტები ნებისმიერ ეპოქაში იქმნება და, ისინი თავად მართავენ საკუთარ „ბედ-იღბალს“. სალიტერატურო პროფესიის უწყვეტობა და ტრადიციული სახის-მეტყველებითი მოდელი ასევე თავად განსაზღვრავს სამომავლო, ახალი მიმართულების წარმოშობა-განვითარებას.

P.S. სახელმწიფო ორგანოების მხრიდან იდეოლოგიური კონტროლის გაუქმებას მოყვა სალიტერატურო პროცესის კომერციალიზაცია, დამკვიდრდა „ლიტერატურული პროდუქციის“ ცნება-ტერმინი. ახლებური დატვირთვა შეიძინა მხატვრული ნაწარმოების (და, არამართო) მკითხველისეულმა და, ზოგადად, საზოგადოებრივმა შეფასებამ. 1900-იანი წლებიდან ფასეული გახდა (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) სხვადასხვაგვარი ლიტერატურული კონკურსები და პრემიები. ბოლოხანს კი თავი იჩინა არც თუ სასურველმა ტენდენციამ, ახალი თაობის მკითხველი ბესტსელერთა კატეგორიას აკუთვნებს ერთობ საკამათო ლიტერატურული ღირებულებების მქონე ტექსტებს.

როდესაც საკუთარ თავს ვხვეწთ, ამით გარესამყაროსაც სრულ-ემქმნით. მხოლოდ ზნეობრივი განვითარებითაა შესაძლებელი საზოგადოების სრულყოფა. რაღა უნდადო ემერსონი წერდა: „ცივილიზაციის ჭეშმარიტი მაჩვენებელი არა სიმდიდრის და განვითარების დონეა, არა ქალაქთა სიდიდე, არა უხვმოსავლიანობა, არამედ ადამიანის ზნეობრივი სახე, რომესაც ქვეყანა აყალიბებსო“ (ემერსონი 1860).

დამოწმებანი:

გადამერი 1960: Gasamer, H. G. *Warheit und Methode: Gründrüge eines philos.* Hernebeutick. XVIII. Tübingen: 1960.

ემერსონი 1860: Emerson, R. W. *The Conduct of Life.* Socton: Ticknor and Fields, reprinted by Forgotten Books (1860), 1.

რატანი 2015: რატანი ი. *ქართული მწერლობა და მსოფლიო ლიტერატურული პროცესები.* თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2015.

სარტრი 1943: Sattrre, J. P. *Lyetre et le neant. Essai dyontologie phenomenologique.* Paris: 1943.

ქარჩხაძე 2008: ქარჩხაძე ჯ. *მდგმური.* თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა, 2008.

Mary Khukhunaishvili-Tsiklauri

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Political Events of the 80s-90s of the XX Century in Georgia and the Youth Literary Journalism

The process of De-Stalinization that started in the USSR in the second half of the 1950s smashed the myth of invincibility and innocence of the Soviet Communist Party – the leading force of the Soviet State. The political situation had an impact on the literary activities. The bloody event of April 9th of 1989 sped up the collapse of the Communist Regime in Georgia and the country restored the lost independence. In the period of the collapse of the Soviet power and the change of the government (1989-1990) the youth literary journalism easily managed to be liberated from the Communist heritage.

Key words: Journalism, youth, collapse, regime, independence.